ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3160768

ნომერი: AR1487565

თარიღი : 18.03.2017

გაცემის თარიღი : 29.03.2017

გაცნობის თარიღი : 05.04.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიდი ლილო ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სანვარ მალ --- პ/ნ 01092002229
- თბილისი ვარკეთილი 3 II მ/რ კორ. 14 ბ. 94

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის 2016 წლის 14 ნოემბრის №2923469 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 18 მარტის #AR1487565 განცხადებით მომართა სანვარ მალ ---მა და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის 2016 წლის 14 ნოემბრის №2923469 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დადგინდა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის 2016 წლის 14 ნოემბრის №2923469

ბრძანებით, ქალაქი თბილისში, სოფელ დიდ ლილოში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #81.08.16.526) საწყობის (სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესანახი) აშენების მიზნით, დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
აღნიშნულ ბრძანებაში, ფიქსირდება შემდეგი შენიშვნა „#81.08.16.527 საკადასტრო ეთეული უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მისასვლელი სამანქანო გზით და პროექტის შეთანხმების სტადიაზე წარმოდგენილი იქნეს განახლებული საკადასტრო გეგმა და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან სადაც #81.08.16.526 საკადასტრო ერთეული დატვირთული იქნება სერვიტუტით;“.
ამჟამად განმცხადებელი ითხოვს, აღნიშნული შენიშვნის ამოღებას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის 2016 წლის 14 ნოემბრის №2923469 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში.
დადგინდა, რომ #81.08.16.527 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი გაერთიანდა #81.08.16.523 საკადასტრო ერთეულთან, რის შედეგადაც წარმოიქმნა მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით #81.08.16.755.
ვინაიდან გაერთიანების შემდეგ ნაკვეთს გაუჩდა ალტერნატიული მისასვლელი გზა, სამსახური მიზანშეწონილად მიაჩნია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებიდან აღნიშნული შენიშვნის ამოღება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის 2016 წლის 14 ნოემბრის №2923469 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებიდან ამოღებულ იქნეს ჩანაწერი: „შენიშვნა: #81.08.16.527 საკადასტრო ეთეული უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მისასვლელი სამანქანო გზით და პროექტის შეთანხმების სტადიაზე წარმოდგენილი იქნეს განახლებული საკადასტრო გეგმა და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან სადაც #81.08.16.526 საკადასტრო ერთეული დატვირთული იქნება სერვიტუტით;“
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის 2016 წლის 14 ნოემბრის №2923469 ბრძანებასთან ერთად;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.